

ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N89 საცხოვრებელი სახლის
N2 ბინაზე, მოქალაქე ნორა ცირეკიძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა სულხან-საბას გამზირი N89 საცხოვრებელი სახლის N2 ბინაში მცხოვრები მოქალაქე ნორა ცირეკიძის წარმომადგენლის ეკატერინე ცირეკიძის განცხადება /2013 წლის 11.09 Nგ-9287/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N89 საცხოვრებელი სახლის N2 ბინა/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის მოქალაქე ნორა ცირეკიძის სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N89 საცხოვრებელი სახლის N2 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ნორა ცირეკიძეს /პირადი N60001098183/.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ბ.ცქიფურიშვილი/, ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N89 საცხოვრებელი სახლის N2 ბინაზე საერთო ფართობი 63,50 კვ.მ. /საცხოვრებელი ფართობი 29,72 კვ.მ, დამხმარე ფართობი 33,78 კვ.მ./ მოქალაქე ნორა ცირეკიძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე გ.შარაბიძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრამის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის
მოვალეობის შემსრულებელი

კ.ლომიძე